სახელწოდება: კლასიკური ფილოლოგია და სიძველეთმცოდნეობა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი რისმაგ გორდეზიანი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა)სადოქტორო პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამა არის ინტერდისციპლინარული, მოიცავს კლასიკური ფილოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის სფეროებს. პროგრამა წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერებების კომპლექსურ დარგს, რომელიც გულისხმობს წინარე ანტიკური და ანტიკური ეპოქების კულტურის სხვადასხვა ასპექტის კვლევას. მისი შემადგენელი სპეციალობები ტრადიციულია მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში. საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერებების ამ სფეროების შესწავლას მდიდარი ტრადიციები აქვს და ამ მიმართულებით მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობს. საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის გამო რამდენადმე შეფერხდა დოქტორანტურაში უკანასკნელ წლებში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეთა მიღება ამ მიმართულებით.

წინამდებარე სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია ამ კატეგორიის სპეციალისტებისათვის, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ, სადოქტორო პროგრამებისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად განაგრძონ დოქტორანტურაში სწავლა და მოიპოვონ აკადემიური ხარისხის მიღების უფლება. პროგრამა მოიცავს ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა სფეროს: ანტიკური ეპოქის, მედიტერანული და ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის, წინარე ანტიკური და ანტიკური ეპოქის სხვადასხვა კარდინალურ საკითხს.

ბ) სადოქტორო პროგრამის შედეგი:

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ექნება ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა კლასიკური ფილოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის სფეროში, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო პუბლიკაციების აუცილებელი სტანდარტის დონეზე. შეეძლება ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. იგი სრულად დაეუფლება კლასიკური ფილოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის დარგში შემუშავებულ თეორიულსა და კვლევით მეთოდებს.

- დოქტორანტს ექნება პროფესიულ დონეზე ყველა ძირითადი მეთოდის ცოდნა, ასევე მას

შეეძლება იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.

დარგობრივი კომპეტენციები:

- გამოუმუშავდება ანალიზისა და სინთეზის უნარი კლასიკური ფილოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის სფეროში არსებული პრობლემების შესწავლისას თუ კვლევისას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს არა მარტო სწორი ორიენტაცია მოახდინოს ურთიერთ საწინააღმდეგო თვალსაზრისებისა თუ თეორიების დაუფლებისას, არამედ ჰქონდეს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების უნარიც.

- შეეძლება დამოუკიდებლად კლასიკურ ფილოლოგიასა და სიძველეთმცოდნეობაში არსებული პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრისას სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამისათვის საჭირო დამატებითი რესურსების გამოყენება.

- შეეძლება, აკადემიური და კველევითი ჯგუფების მუშაობის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;

- ექნება კლასიკური/ძველი აღმოსავლური ენების იმდენად ღრმა ცოდნა, რომ შეძლებს ნებისმიერი სირთულის ტექსტის ინტერპრეტაციას, თარგმნასა და დეტალურ ანალიზს. ამასთანავე, ექნება სულ ცოტა ერთი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (B1 დონეზე), რათა შეძლოს მინიმუმ ორ ენაზე (მშობლიური და უცხო ენა) მოხსენებების დაწერა, საერთაშორისო კონფერენციებზე გამოსვლა და, საჭირობის შემთხვევაში, საქართველოსა თუ უცხოეთში ლექციების წაკითხვა;

- ექნება, სათანადო ცოდნა იმისათვის, რომ თავისუფლად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ასევე მოახდინოს კლასიკურ ფილოლოგიასა და სიძველეთმცოდნეობაში შექმნილი მრავალრიცხოვანი ელექტრონული ინფორმაციის ოპერატიულად მოძიება, შემოქმედებითად და კრიტიკულად გამოყენება.

- შეეძლება ამა თუ იმ აკადემიური თუ სამეცნიერო ამოცანის შესასრულებლად შექმნილი ჯგუფის ეფექტური ხელმძღვანელობა. ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამოცანების სწორად ფორმულირება და მათი გადაჭრა. ასევე შესაძლებელი კონფლიქტური სიტუაციების დროული მოგვარება.

- ექნება უნარი დაყენებული ამოცანების ადეკვატურად შეფასებისა. შეეძლება დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი სწავლის პროცესი და გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. ასევე შეეძლება სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

- შეეძლება დამოუკიდებლად შეიმუშაოს ახალი პროექტები კლასიკურ ფილოლოგიასა და სიძველეთმცოდნეობაში. ხელმძღვანელობა გაუწიოს მათი განხორციელების პროცესს.

ტრანსფერული და ზოგადი უნარები:

- შეეძლება არა მხოლოდ დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული იყოს საკუთარი სწავლისა და მუშაობის დროს, არამედ ხელი შეუწყოს სხვებსაც სწავლის პროცესში, ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა და იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება რთული და მოულოდნელი სიტუაციები, გამოიჩინოს ავტონომიური ინიციატივა.
- შეეძლება ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა. ასევე კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების დამოუკიდებლად შემუშავება.

გ) კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები:

უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი და მთარგმნელობითი ცენტრები, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები, კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, მასმედია, ტურიზმი, არასამთავრობო სექტორი და სხვ.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- დოქტორანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
- ევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს), B-2 დონეზე ცოდნა.

სასწავლო კომპონენტი:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები – 10
- დოქტორანტების კოლოკვიუმი (2) – 10
- პროფესორის ასისტენტობა - 15

არჩევითი

- საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 25
- უცხოურ უმაღლეს სასწავლებელში გავლილი კურსები - 5-60 კრედიტი
- საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწვლებელში გავლილი კურსები - 5-30

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

გამოყენებული იქნება თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

1. სპეციალიზებული ბიბლიოთეკა ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიაში (წიგნადი ფონდი შეიცავს 20 000-მდე ერთეულს).

2. კომპიუტერული ცენტრი.

3. საგამომცემლო პროგრამა "ლოგოსი".

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი:

მოსალოდნელია, რომ დოქტორანტურაში ამ პროგრამით ჩაირიცხება დაახლოებით ათამდე მაგისტრი, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევს 4 სრული პროფესორი და შვიდი ასოცირებული პროფესორი. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელ-კოორდინატორი პროგრამაში მოიწვევს დამატებით ხელმძღვანელს.

სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

თსუ სრული პროფესორი ლელა ალექსიძე

თსუ სრული პროფესორი ლევან გორდეზიანი

თსუ სრული პროფესორი ირინე ტატიშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი ნანა ტონია

თსუ ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადარეიშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი რუსუდან ცანავა

თსუ ასოცირებული პროფესორი მანანა ფხაკაძე

თსუ ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია

თსუ ასოცირებული პროფესორი იამზე გაგუა

თსუ სრულიპროფესორი ჯემალ შარაშენიძე

თსუ ასოცირებული პროფესორი ზაზა ხინთიბიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა ხვედელიძე